ჯ.კ. როულინგი

ქვილოჩის

მრავალსაუკუნოვანი ისტორია

კენილვორთ უისპი

ჰოგვორტსის ბიბლიოთეკის საკუთრება

მკითხველი	წიგნის დაბრუნების თარიღი
ო. ვუდი	9 აპრილი
ბ. დანსტანი	16 მაისი
მ. ფლინტი	22 ივნისი
ს. დიგორი	9 ივლისი
ა. ჯონსონი	19 ივლისი
ე. მაკმილანი	12 აგვისტო
ჩ. ჩანგი	21 აგვისტო
[illegible]	16 სექტემბერი
[illegible]	10 ოქტომბერი
[illegible]	19 ოქტომბერი
[illegible]	13 ნოემბერი
[illegible]	5 დეკემბერი
[illegible]	22 იანვარი
[illegible]	31 იანვარი
მ. ბულსტროუდი	6 თებერვალი
[illegible]	15 თებერვალი
ჰ. გრეინჯერი	2 მარტი
ჰ. პოტერი	11 მარტი

გაფრთხილება! თუ თქვენ დაჭრით, დახევთ, დაანაკუწებთ, მოღუნავთ, მოკეცავთ, გააფუჭებთ, დაამახინჯებთ, დასვრით, დაალაქავებთ, გადააგდებთ ან დაგივარდებათ ეს წიგნი; თუ მიაყენებთ მას რაიმე სხვა სახის ზიანს, თუ მის მიმართ გამოხატავთ უპატივცემულობას, შედეგები იქნება იმდენად საზარელი, რამდენადაც ამის აღსრულება ჩემი ჯადოსნური ძალებით შემეძლება.

ირმა პინსი, ჰოგვორტსის ბიბლიოთეკარი

წიგნის შესახებ

„კენილვორთ უისპის გულმოდგინე კვლევების შედეგად ჩვენ წინაშე გაიხსნა ნამდვილი საგანძური ჯადოქართა სპორტის დღემდე უცნობი ფაქტების შესახებ. ნამდვილად საინტერესო საკითხავია.“

ბბთილდა ბეგშოთი

ავტორი წიგნისა „მაგიის ისტორია“

* * *

„უისპიმ შესანიშნავი წიგნი დაწერა. ქვიდიჩის მოყვარულთათვის სასარგებლო და გასართობი წიგნია.“

რედაქტორი გაზეთისა „რომელი ცოცხი?“

* * *

„გამორჩეული ნაშრომია ქვიდიჩის ისტორიის შესახებ. გირჩევთ, აუცილებლად წაიკითხოთ.“

ბრუტუს სკრიმჭერი

ავტორი წიგნისა „ბიტერების ბიბლია“

* * *

„მისტერ უისპი იმედისმომცემი მწერალია; თუ ის ასეთივე წარმატებით გააგრძელებს მუშაობას, ერთხელ შესაძლოა ჩემთან ერთად ფოტოს გადაღების ნებაც დავრთო!“

ვილდეროი ლოკჰარტი

ავტორი წიგნისა „მე – ჯადოქარი“

* * *

„ნაძლევს დაგიდებთ, რომ ეს წიგნი ბესტსელერი გახდება. მოდით, დავნაძლევდეთ...“

ლუდო ბეგმანი

ინგლისის ნაკრებისა და „ვიმბურნის კრაზანების“ ბიტერი

* * *

„უარესიც წამიკითხავს.“

რიტა სკიტერი

„დილის მისანი“

ქვიდიჩის

მრავალსაუკუნოვანი

ისტორია

J.K. ROWLING'S WIZARDING WORLD

ქართულ ენაზე „ჰარი პოტერის“ სერიით
გამოცემულია შემდეგი წიგნები:

ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა

ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი

ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე

ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი

ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი

ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი

ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები

დამატებითი გამოცემები:

ჯადოსნური ცხოველები და სად ვიპოვოთ ისინი

ქვიდიჩის მრავალსაუკუნოვანი ისტორია

(გამოცემულია Comic Relief-სა და Lumos-ის დასახმარებლად)

მგოსანი ბიდლის ზღაპრები

(გამოცემულია Lumos-ის დასახმარებლად)

ქვიდიჩის
მრავალსაუკუნოვანი
ისტორია

კენილვორთ უისპი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

Whizz Hard Books
129B Diagon Alley, LONDON

განსაკუთრებული მადლობა ჯოან როულინგს
ამ წიგნის დაწერისა და ჰონორარის
Comic Relief-ისა და Lumos-ისთვის გადაცემის გამო

სარჩევი

ალბუს დამბლდორის წინასიტყვაობა 15

1. მფრინავი ცოცხის ევოლუცია 21

2. უძველესი თამაშები ცოცხებით 25

3. თამაში ქვირდიჩის ჭანჭრობებიდან 30

4. ოქროს სნიჩის წარმომავლობა 35

5. ანტიმაგლური უსაფრთხოების წესები 42

6. ცვლილებები ქვიდიჩში მეთოთხმეტე საუკუნიდან 45

    სათამაშო მოედანი 45

    ბურთები 48

    მოთამაშეები 51

    წესები 56

    მსაჯები 60

7. ბრიტანეთისა და ირლანდიის ქვიდიჩის გუნდები 63

8. ქვიდიჩი მსოფლიოში 72

9. სწრაფი ცოცხის განვითარება 83

10. ქვიდიჩი ჩვენს დროში 90

ბოლოსიტყვაობა 97

ალბუს დამბლდორის წინასიტყვაობა

„ქვიდიჩის მრავალსაუკუნოვანი ისტორია“ ჰოგვორტსის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნია. მადამ პინსმა, ჩვენმა ბიბლიოთეკარმა, მითხრა, რომ ამ წიგნს სასტიკად ეპყრობიან, თუმცა ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ წიგნი სტუდენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისტერ უისპის ეს ნაშრომი თანაბარ სიამოვნებას ანიჭებს როგორც ქვიდიჩის მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს, ისე ჯადოქართა ისტორიით დაინტერესებულ რიგით მკითხველებსაც. ჩვენ განვავითარეთ ქვიდიჩი და მანაც განგვავითარა ჩვენ. ქვიდიჩი აერთიანებს გრძნეულთა საზოგადოების ნებისმიერი სოციალური ფენის ჯადოქრებს; გვკრებს მხიარულების, ტრიუმფალური გამარჯვებისა და სასოწარკვეთის მომენტებშიც (თუ „ჩადლი ქენონზის“ გულშემატკივარი ხარ).

იძულებული ვარ ვაღიარო, საკმაოდ დიდი ჯაფა დამჭირდა, რომ დამეყოლიებინა მადამ პინსი, ჩემთვის ამ უნიკალური წიგნის ერთ-ერთი ეგზემპლარი ეთხო-

ვებინა, რათა ასლი გამეკეთებინა და ყველასთვის ხელმისაწვდომი გამეხადა; როდესაც მადამ პინსს გავუმხილე, რომ ეს წიგნი მაგლებსაც უნდა შეეძინათ, ცოტა ხნით ლაპარაკის უნარი წაერთვა და რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალებიც კი არ დაუხამხამებია. შემდეგ კი ცნობიერება დაუბრუნდა, ყოველ შემთხვევაში იმ დონემდე, რომ ჩემთვის ეკითხა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალეო. ჩემთვის სასიამოვნო იყო, მადამ პინსისთვის ამეხსნა ასეთი უპრეცედენტო გადაწყვეტილების მიზეზი; მიმაჩნია, რომ მაგლი მკითხველებისთვის Comic Relief*-ისა და Lumos-ის საქმიანობის ახსნა არ არის საჭირო, ამიტომაც სპეციალურად იმ ჯადოქრებისთვის, რომელთაც ეს წიგნი ხელთ უპყრიათ, კიდევ ერთხელ განვმარტავ: მაშ ასე, რაც უნდა გასაკვირი იყოს, სიღარიბისა და უსამართლობის წინააღმდეგ Comic Relief შეიარაღებულია სიცილით, როგორც ყველაზე შემოქმედებითი საშუალებით. მას ვიყენებთ იმ ფინანსური რესურსების მოსაძიებლად, რომლითაც არაერთ სიცოცხლეს გადავარჩენთ ან უკეთესს გავხდით – ეს ის მაგიური ბრენდია, რასაც ყველანი ვესწრაფვით. Lumos-ი, თავის მხრივ, ანათებს ყველაზე ბნელ კუთხეებს, გვიჩვენებს მთელი მსოფლიოს დამალულ ბავშვებს და მიუძღვება

* ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელსაც ერიცხება ჯოან როულინგის ორი წიგნის („ქვიდიჩის მრავალსაუკუნოვანი ისტორია“ და „ჯადოსნური ცხოველები და სად ვიპოვოთ ისინი“) გაყიდვიდან შემოსავლის უდიდესი ნაწილი.

მათ სახლისკენ მიმავალ გზაზე. ამ წიგნის შეძენით (გირჩევთ, აუცილებლად შეიძინოთ, რადგან ამ წიგნის დიდხანს კითხვის შემთხვევაში, თუ, რაღა თქმა უნდა, მასში შესაბამისი თანხა არ გაქვთ გადახდილი, თქვენზე მოქმედებას დაიწყებს ქურდობის საწინააღმდეგო ჯადო) თქვენ ამ ჯადოსნურ საქმეში საკუთარი წვლილის შეტანას შეძლებთ. მოგატყუებთ, თუ ვიტყვი, რომ ამ განმარტებამ მადამ პინსი დააკმაყოფილა და უპრობლემოდ გადმომცა ჰოგვორტსის ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული წიგნი მაგლთათვის ხელმისაწვდომად. სინამდვილეში, მან შემომთავაზა რამდენიმე ალტერნატიული გზა: მაგალითად, მე უნდა მეცნობებინა Comic Relief-ისა და Lumos-ის წარმომადგენელთათვის, რომ ბიბლიოთეკა დაიწვა, ან, უბრალოდ, ხმა დამეყარა, თითქოს გარდავიცვალე და არავითარი ანდერძი არ დამიტოვებია. ხოლო როდესაც მადამ პინსს მტკიცედ განვუცხადე, რომ მე ჩემს საწყის გეგმას არ შევცვლიდი, იგი უხალისოდ დამთანხმდა წიგნის გადმოცემაზე. ამის მიუხედავად, იმ მომენტში, როცა წიგნი ხელებში ჩამიდო, მოთმინებამ უღალატა და იძულებული გავხდი, წიგნზე ჩაბღაუჭებული მისი თითები სულ სათითაოდ მომეცილებინა. მართალია, წიგნს ბიბლიოთეკის სტანდარტული დაცვითი შელოცვები მოვაცილე, მაგრამ მაინც ვერ შეგპირდებით, რომ ყველა ჯადო მოეხსნა, რადგან საყოველთაოდ ცნობილია მადამ პინსის საოცარი მიდრეკილება – მისთვის მინდობილი

წიგნები კარგად დახუნძლოს ათასგვარი უცნაური შელოცვით. გასულ წელს, როდესაც ჩაფიქრებულმა რაღაც მივახატე პოლიმორფულ გარდაქმნათა პრინციპების წიგნს, იმწამსვე ვიგრძენი, რომ წიგნი თავში მირტყამდა. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, ამ წიგნს დიდი სიფრთხილით მოეპყროთ. ნუ ამოხევთ ფურცლებს, ნუ ჩააგდებთ აბაზანაში, რადგან მე პირადად, ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ მადამ პინსი თავზე არ დაგაცხრებათ და დიდ ჯარიმას არ გამოგიწერთ წიგნის დაზიანებისთვის. ისღა დამრჩენია Comic Relief-ისა და Lumos-ის მხარდაჭერისთვის უღრმესი მადლობა მოგახსენოთ; ასევე მსურს ვთხოვო მაგლებს, ნუ ეცდებიან, ქვიდიჩი სახლში ითამაშონ – ეს არარეალური თამაშია და რაღა თქმა უნდა, ადამიანები მას არ თამაშობენ. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მინდა, წარმატება ვუსურვო „პადლმერ იუნაიტედს“ ქვიდიჩის ჩემპიონატის შემდგომ სეზონში.

თავი
პირველი

მფრინავი ცოცხის ევოლუცია

ჯერ არ გამოგონილა ისეთი შელოცვა, რომ ჯადოქარმა ფრინველად გარდასახვის გარეშე შეძლოს ჰაერში ფრენა. ძალიან ცოტანი არიან ისეთი ანიმაგუსები, რომლებიც მფრინავ არსებად გადაქცევის მაგიურ ხელოვნებას ფლობენ; მაგალითად, ღამურად გადაქცეულ ჯადოქარს თავისუფლად შეუძლია ჰაერში აფრინდეს, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ღამურას ტვინის მქონეს ჯერ კიდევ აფრენამდე დაავიწყდება, საით უნდა წასულიყო. ლევიტაცია ძალიან ადვილად მიიღწევა, მაგრამ ჩვენს წინაპრებს მიწიდან რამდენიმე მეტრით აფრენა არ აკმაყოფილებდათ; სურდათ, ჰაერში ჩიტებივით ენავარდათ, ოღონდ ფრთების ამოსვლის უხერხული შეგრძნების გარეშე. თანამედროვე ჯადოქართა ოჯახებში, ჩვეულებრივ, მინიმუმ ერთი მფრინავი ცოცხი მაინც მოიძევება. ჩნდება შეკითხვა: რატომ იქცა ჩვეულებრივი ცოცხი ნივთად, რომელიც მაგიის სამინისტროს მიერ ერთად-

ერთ ლეგალურ საფრენოსნო ტრანსპორტად არის აღიარებული? ჩვენ, დასავლეთის მცხოვრებნი, რატომ არ დავფრინავთ მფრინავი ხალიჩებით, რომელიც ასე ძალიან უყვართ აღმოსავლელ მისნებს? რატომ არ გვაქვს მფრინავი კასრები, სავარძლები, ანდა სააბაზანოები, და რატომ – მაინცდამაინც ცოცხები?

საქმე ისაა, რომ ჯადოქრები მაგლებს ხარბ და სულელ ადამიანებად მიიჩნევდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი მეზობელი მაგლები, თუ ამ უნარების შესახებ შეიტყობდნენ, საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ ამას; ამდენად, ჯადოქრები დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ მაგლებთან ურთიერთობისას, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური საერთაშორისო დადგენილებით მაგიური უნარებისთვის „გრიფით საიდუმლოს“ მინიჭება საკმაოდ გვიან მოხდა. ამიტომ თუ ჯადოქრებს სურდათ, თავისუფლად ესარგებლათ მფრინავი ტრანსპორტით, ასეთ ნივთს მაგლების თვალში ეჭვი არ უნდა გამოეწვია. ცოცხი ამ საქმისთვის იდეალური აღმოჩნდა. უბრალო, ყოველდღიური მოხმარების საგანი მაგლების ყურადღებას არ იპყრობდა, მისი გადატანა ადვილი იყო და იაფიც ღირდა. ამის მიუხედავად, პირველ მფრინავ ცოცხებს არაერთი ნაკლი ჰქონდა; უძველეს ხელნაწერებში ნათქვამია, რომ ევროპელი ჯადოქრები ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე 962 წლიდან ფრენისთვის ცოცხებს იყენებდნენ; ამავე პერიოდის გერმანულ ილუსტრირებულ ხელნაწერში გამოსახული არიან ადამიანები, რომლე-

ბიც ცოცხებიდან გადმოდიან და სახეებზე ფრენით გამოწვეული დისკომფორტის გამო უკმაყოფილება აწერიათ; შოტლანდიელი ჯადოქარი გათრი ლოქრინი 1107 წელს წერდა, რომ მონტროსიდან არბროთამდე მოკლე მანძილის ცოცხით გავლის შემდეგ საჯდომში სულ ხიჭვები ჰქონდა შერჭობილი;



სურათი **A**

ლონდონის ქვიდიჩის მუზეუმში გამოფენილი შუა საუკუნეების ამ ცოცხის ნახვისას (იხ. სურათი A) ლოქრინის პრობლემის მიზეზი ჩვენთვის უკვე აშკარაა: დაუმუშავებელი იფნის ხისგან დამზადებული თხელი სახელური, თხილის ტოტების კუდი, ბოლოში უხეშად გაშლილი. ასეთი ცოცხი არაკომფორტულია და საერთოდ არ გააჩნია აეროდინამიკა; მასზე დადებული შელოცვები საკმაოდ მარტივი იყო და დაბალი სიჩქარით დაფრინავდა პირდაპირი მიმართულებით, ზევით, ქვევით, და ამუხრუჭებდა.

ჯადოქართა ოჯახები თვითონ ამზადებდნენ საკუთარ მფრინავ ცოცხებს; დროთა განმავლობაში ცოცხის სისწრაფე გაიზარდა, უკეთ მანევრირებადი და კომფორტული გახდა და რაც მთავარია, მართ-

ვის სისტემაც გაუმჯობესდა. XII საუკუნეში ჯადოქრებმა საქონლის გაცვლა-გამოცვლა ისწავლეს, ანუ ჩამოყალიბდა ერთგვარი სავაჭრო ურთიერთობები; ასე რომ, ჯადოქარი, რომელიც კარგად ამზადებდა მფრინავ ცოცხებს, თავის დამზადებულ მფრინავ ცოცხს წამლების ოსტატ მეზობელ ჯადოქარს ჯადოსნურ მალამოში უცვლიდა. მას შემდეგ, რაც ცოცხით ფრენა კომფორტული გახდა, ჯადოქრები სიამოვნების მისაღებად უფრო დაფრინავენ, ვიდრე A პუნქტიდან B პუნქტამდე მისასვლელად.